

2017 წლის 25 სექტემბერი

ქ.თბილისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 25 სექტემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათაუწინააღმდეგე, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა, ლაშა თავართქილაძე, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს მეთვალყურეთა თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, სრკ მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარის დ. შუბითიძის წერილი და ვიდეომასალა, „დიდი 10“-ის კალენდარულ მატჩზე, თბ „არმია“-სა და ბათუმის „ბათუმი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

თბ „არმია“-ს მორაგბე ნიკა ცირეკიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა, მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობას.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.8 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. თბ „არმია“-ს მორაგბე ნ. ცირეკიძე დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
3. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 25 ოქტომბრამდე.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ თბ „არმია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/